სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 309

(ოქმი № 300)

თბილისი 2015 წლის 31 აგვისტო

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტში ცვლილების შეტანისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "გ" ქვეპუნქტის და 35^9(1) მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ცვლილება შევიდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში და შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი თანდართული სახით.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი (1 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ნათელა სახოკია

ლელა გაფრინდაშვილი

ალექსანდრე ვახტანგოვი

დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი

ს. სტურუა ----------

21 აგვისტო 2015 წელი

245675880

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზ. ხალვაში ----------

21 აგვისტო 2015 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი

ხ ა რ ჯ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ხაზინა	ეკონ. საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან	სულ
შრომის ანაზღაურება	3324000	99025	3423025
მივლინებები	80000	49000	129 000
მრჩეველთა საბჭო	91845	3075	94 920
ადმინისტრაციული	690840	14000	704 840
საინფორმაციო	139511	0	139 511
პროდიუსინგი	524924	11500	536 424
ტექნიკური	1271880	37400	1 309 280
სხვა გადასახდელები		45000	45 000
სულ ჯამი	**6 123 000**	**259 000**	**6 382 000**

განმარტებითი ბარათი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტზე

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის #303 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის გაზრდას 54 000 ლარით, რაც გამოწვეულია გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში არსებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებითა და შესაბამისად დაფინანსების გაზრდით 2015 წლის 1 აგვისტოდან, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის შესახებ სატელევიზიო პროგრამების შექმნას. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის მე-3 და მე-4 კვარტლის დაფინანსებით შრომის ანაზღაურების ხარჯები იზრდება 42 000 ლარით, მივლინებების მუხლი 8 500 ლარით, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯი 3500 ლარით პროექტის მომსახურე ავტომობილის საწვავით უზრუნველსაყოფად.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილის მუხლობრივ განაწილებაში.

დირექტორი სოსო სტურუა

11.08.2015